



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 48  
30/07/2019

48-09-4-201907301736



**თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,


1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“ (ს/კ 404923785) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს ქ. თელავში, ერეკლე II-ის გამზ. №16-ში მდებარე შენობა-ნაგებობის I სართულზე არსებული 39.29 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი: 53.20.37.089).

1

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

